პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № ---

2025 წლის --- ----------

ქ. ბათუმი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge გამოქვეყნების თარიღი: 24/03/2015 სარეგისტრაციო კოდი (020080160.35.132.016254) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1

ინსპექციის მიერ მისთვის ამ დადგენილებით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (protocols) მეშვეობით მიღებული მონაცემების სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე გადაცემა ხორციელდება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მონაცემზე მომსახურების საფასურის თვეში 0,5 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125[3] მუხლით, 135-ე და 135[1] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[3] მუხლით, 135-ე და 135[1] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[3] მუხლით, 135-ე და 135[1] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში ადგენს საჯარიმო ქვითარს ელექტრონულად, რისთვისაც ინსპექციაში დანერგილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემა. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფით ხდება დაფიქსირებული სამართალდარღვევის ფაქტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის/ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოწერა ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა; საჯარიმო ქვითრის/სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის თაობაზე ინფორმაციის სამართალდამრღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია; საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული თანხის შეღავათით სარგებლობისა და გადახდის პროცესების მართვა; სამართალდამრღვევი პირისთვის საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაგზავნისა და ჩაბარების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას საქმის გადაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აღსრულების ეროვნულ ბიუროში; სამართალდამრღვევის მიმართ ჯარიმისა ან/და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარიმო ქვითრის აღსრულების მოქმედების შეჩერება.

დღეის მდგომარეობით რამოდენიმე კომპანიას შექმნილი აქვს აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს აქვთ საშუალება ნახონ და გადაიხადონ მათზე დაკისრებული ჯარიმები, თუმცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინსპექციის მიერ გამოწერილი ჯარიმები არ არის შეყვანილი, ვინაიდან ინსპექციის მიერ არ ხდება აღნიშნული კომპანიებისათვის (მესამე პირებისათვის) ჯარიმების შესახებ ინფორმაციის გადაცემა. ჯარიმების შესახებ ინფორმაციის გადაცემის პრაქტიკა არსებობს სხვა ქალაქებში, სადაც შექმნილია შესაბამისი არხი, რომლითაც ინფორმაციის გადაცემა ხდება კომპანიებისათვის თითოეულ მონაცემებზე შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ მომზადებულია იქნა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რომლითაც დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ წესს ემატება შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1

ინსპექციის მიერ მისთვის ამ დადგენილებით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (protocols) მეშვეობით მიღებული მონაცემების სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე გადაცემა ხორციელდება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მონაცემზე მომსახურების საფასურის თვეში 0,5 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში.“.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობისადმი:

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი:

ა(ა)იპ ,,ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია".

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური
რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **ლაშა მამულაძე**